

# მინაური ცეკვები.

Nº 16

ଓବେଦନ କରିବାର ପାଇଁ

წლიური ფასი სამი მან.

## ବ୍ୟାଲିନ୍ଦାରୀ ମେଳିତ୍ତିକ

33065, 12036060, 1911 ֆըլտ.

ଏହିମେହର ଲେଖକଙ୍କ ପାଦମ୍ଭରି „ ୦ ୫୫୦୦୯ । ୧୨୩୩୩

№ 17) და თანამისე გამოცემულ სამართლის საქართველო, სამართლის უკავების მიზნით. გამოვლენ უკვე თუმცა თოთხ ნომერი, მაგრამ გამოწერების

ପିଲୋର୍କ ଫୁଲ:	3	ମାନ୍‌ଫିଲ୍‌ଟ ଗୁଣିତା:	2	ମାନ୍‌ଫିଲ୍‌ଟ ଦା:	2	ମାନ୍‌ଫିଲ୍‌ଟ ଦା:	10	ପ୍ରାଚୀର୍ଦ୍ଦିଲ:	2
--------------	---	---------------------	---	-----------------	---	-----------------	----	----------------	---

“ ၁၂၁၃ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငံ၊ ရန်ကုန်မြို့၊ မြန်မာပြည်။

შინაარსი: 1) ქუთაისი—12 ათწევრ. 2)  
სინამდვილე ხასარებისა—(გრადგროვიდგან, 3) კვი-  
რიდაშ კვირამდე. 4) ბ. ი. ნიკოლაეს—ხელის.  
5) შინაური მიმთხილვა—ხომილებისა. შედატა-  
რეთა გასაჩენა. 7) წერილები რედაქციის მიმართ.  
8) წაღმა-უკუდმე—პ. წერის ცოდნულისა.

କୃତ୍ୟାବ୍ସୀ 12 ଅଗନିଶ.

մլույն քարից աջամաննեա քայրմա  
տրյանա, մլույն աեցուզած ոց քըզամինիս  
յուրա բարու մանմուլթի, մլույն և մլույն,  
չպահպահուատ մասնց, մցորյազին քամու-  
կալուինիուս քա Աստ քարից եկածաւ  
օմէթի, ու ռոշոր մուսեաւու յև ու-  
զու աւագու զամարքյան մմաւա Տայլայիստ,  
մատ նախուու քանչենշըզատ քա մմիցօքանն  
մուսակալու աեսթուզըզատ. մու մազոյն  
ռու աեւագու զամարքյանտ Անդրյան զայ-



დღილობ წინჯულ კაცობრიობას, ეს და ვე ჭარში საომარ ფლოტებს ჭმისა და ახალ ჯერ გამოუცდელ სატანჯველს უმზადებენ მას.

გააგის კონფერენციამ 1907 და 1909 წ.წ. გურადღება მიაქცია ამ საკითხს და რეზოლუცია გამოიტანა, რომ ჭარში მფრინავი მანქანები სამშვიდობო მიზნებს უნდა ემსახურებოდენ, ხალხის მიმოსვლას და საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვის უნდა აადგილობდენ და არ ჩემ სედრო დანიშნულებას ასრულებდენ. ამ ნაირათ გააგის სამშვიდობო კონფერენცია წინააღმდეგი გაუხდა ჭარში მფრინავ ხოლ მაღებით ომიანობას.

მაგრამ განათლებული საფრანგეთი, როგორც ეტელა, წინააღმდეგია კონფერენციის ასეთ გადაწყვეტილებისა. მას უნდა, რომ საფრენი მანქანები საომარ იარაღათ გადააწყიოს. მას აქარა მტკიცების საფრანგეთის უფლებათა ინსტიტუტის რეზოლუცია შესახებ ჭარიდან ომისა.

ამ ინსტატუტის პროფესორმა ფოსილმა ამას წინეთ რეფერატი წაიკითხა, რომელმიდან მსარს უტერდა იმ აზრს, რომ ჭარში მფრინავ მანქანებით ომი შესაძლებელიცაა და სასურველიც, რომ საერთაშორისო უფლების ძლით უკეთა ნება აქვს ჭარიდნაც ისე იმოძღვროს, როგორც ხმელეთზე და ზღვაში. შემდეგ რეფერატისა, საკითხს კენტი უკარებს თურმე და უმეტესობამ, 14 წინააღმდეგ 7-სა, ფოსილის აზრს მსარ დაუჭირა

და საზოგადოთ ასეთი რეზოლუცია გამოიტანეს: „ჭარში ომი შესაძლებელია იმ პირობით, რომ მან ნეიტრალურ ხალხების სიცოცხლესა და საკურებას არ მოუტანოს მეტი ზიანი რაც არ მოაქვს ჩვეულებრივ ომს ხმელეთზე და ზღვაში“.

ამნაირათ ჭარიც, საიდგანაც სიკეთებს მოველთ, მეხს, ცეცხლს და მახვილს გვაურის თავზე. ამის ძემდეგ რათ უნდა გვისაროდეს ეს უკნასკნელი ჩენი გამარჯვება ბუნებაზე? ნუ თუ აუარებელი გაბედე ლი მფრინავები მისთვის იკლავენ თავს, რომ კაცობრიობას ახალი უბედურება დატეხონ თავზე?! დარწმუნებული ვართ, რომ მათ გულში სიკეთის მეტი არა აქვთ რა კაცობრიობისათვის, მაგრამ საფრანგეთი რა საფრანგეთი იქნება, რა მოდის სამეფო იქნება, რომ ჭარში ომიც მოდათ არ შემოიღოს!..



## სინამდვილე სახარებისა.

(გლარეონიდვან).

ესე ულებლივ დაიწერა, რათა გრუმენი, რამეთუ იესო ათს ქრისტე, მე დგომის. (იო. XX 31).

გაგრძელება \*)

შეორუ მოსაზრებას ქრისტეს აღდგომის სასამღვიდოს წინააღმდეგ (კოთომ ქრისტე არ მოგდარა) არღმავს თვით შეცრუას. იგი ამბობს:

\*) იო. „ზონ, საქმა“, № 15

„მეგდარ-ცოცხალი, დაუძღუნებულ-დაშედულებული ქიასტე, რომელიაც მოვდა-პატრონაბა და ექი-მობა ეჭირვებოდა, კერ მთახენება მოციქულებზე იმ სიკედილია და საუღავის დამთავრებულებია და სიცოცხლის მშერობების გავლენას, რომელიც დაედეს საფუძვლათ მათ შემდეგ მოქმედებას; ასე-თი დაბრუნება სიცოცხლის ადმი მხოლოდ დაასუსტებდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ქიასტე მთახენის მათზე სიცოცხლის და სიკედილის დროს, გამოიწვევდა მათ გულში ტრილისა და გოდებას, და კრას გზით კერ შეძლებდა გარდაქმნა მათი მწესარება სისარებლათ, და მათი შატივისცემა მისდამი აღმაღლება გაღმერთებამდის.“

ამას გარდა თუ მივიღებო იმ მოსაზრებას, რომ ი. ქიასტე არ მომედარა, მამის უნდა მი-კილოთ ის მოსაზრებაც, რომ ი. ქიასტეს, შემ-დეგ საფუძვლან გამოსცდისა, უნდა ეტევება მოციქულები; რომ დაუწმენება იგინი თვეის აღდგომაში, იგი, შემდეგ რამოდენიმეჯერ გამო-ცხადებისა, უნდა შიძლებულიყო და დახარჩენი თვე-სი სიცოცხლე უცხოაბაში გატარება, ე. ი. უნდა მივიღოთ, რომ იქსო ქიასტე მატეულარა იყო. მა-გრამ ამის თქმას ვერაცინ ბედას, გარდა თვეის შეცდომაში გაჭიავებულ ურიგიას; გერაკინ კერ ბე-დას, უწილდას მას მატეულარა; ათვისტები, რომ-დებაც უაჭკოვენ მის დკონებას, რაცხან. მას ზნე-ობივა მხრით უსრულეს ადამიანთ.

მ საირათ, უნდა მივიღოთ, რომ იქსო ქია-სტე საშლელია მოგდე.

დაგვისა განსახილები უკანსაკენები მოსა-ზრება: თვითმოცულება მოციქულებისა.

ათვისტება, ე. ი. დკონის უარმყოფებები, ამბობენ, რომ ქიასტეს მოწატებები, რომელიც ცუდის სიღრმები შეწესებული იყნენ საფუძვლი მოძღვრის სიკედილით, მსოლოდ მის ნამდვილ, სასწაულებრივ აღდგომაში ღრმა დაწმენების მე-ობებით შექმლით გამსდარიყენ ასეთ შეკენის შედებულ სიბარტეს მოციქულებათ. მაგრამ იყ-ნები ფიქრობენ, რომ, ამ აღმორთოვნებულ რ ნას ასასინებლათ, სრულებათ საკრო არ არას ნამდგილი და სასწაულებრივი მოგდება: იგი შეკე-ნიერად ასესნება ფისხოლოგიურ პროცესით, რომელმაც მაღლია ფურცელების ოცნებრივ წარ-

მოდგენამდის და გამოიწევა მოციქულებში ცუ-დარწმენება, რომ იქსო ადდგა (მე 7. სუბ. შიკობისა).

გამოკირკებით სუდიური მდგრმარეობა მოციქუ-ლებისა, რომელსაც იგინი განიცდიდნ შემდეგ მათი მოძღვრის ფარმისა, რომ გადავსწევატო სა-კითხი: შეძლოთ თუ არ მოციქულებს აღნების მხედვებლით წარმოდგინათ იქსო ქიასტე, რო-გორც მეკადრეთით აღდვომიდი?

ჩემ შემ გსთვეთ, თუ როგორ ხშირა- ხენდენ მოციქულება მცოდნებორწმენების აავის მოძღვრისადმი, როგორც მესინისადმი. დაუმატო ამს რამოდენიმე სიტყვა იმაზეც, რომ მათ არ წამდათ შესაძლებლობა მასი აღდვომისა,

როცა იქსო ქიასტემ, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინეთ თავის ჯერმისა, იწერ უწევებად მოწა-ფეოს თვისთა, გითარმედ ჯერ არს მისა იქ-რუსალიმად ადსვლა და ურიად კნება მღვდელ-მთავრობისა და მწიგნისართო და მოხუცებულ-ოს და მოგვლად და მესამესა დღესა აღდგო-მად (მათ XVI, 21), მაშინ სეტრე იწერ ბრალობად მისა და აქვა: „შენდობა იავებ შენდა, უფლება! არა იოს (შენთხნა) ეგრე! (მათ. XVI, 22). როცა ასე ამბობდა პეტრე, ცხადა, არ ესირდა მნიშვნელობა სიტყვებისა: და მესამესა დღესა აღდგომად და მოგვლად და დაუწეუ მას ფილობა, რადგან, მაშინდელ დროს ურადების მაქფა სატყების და მოგვლად და დაუწეუ მას ფილობა, რადგან, მაშინდელ დროს ურადების აზრით, მესამესა სიკედილი შეუძლებელი იყო, მას სამუდაშოთ უნდა ემეფხა.

მეორეთ, როცა იქსო ქიასტე, შემდეგ თვეის ფერის ცუდებისა, მთადგან ხამოდითდა პეტრე, იაკობ და ოთხეთურთ, და უბრძნს მათ არაკის-თვეს ეთქვათ ის, რაც იხილების, სანმ მე გაციის არ აღსდგებოდა მეგდრებოთ, იგინი ეკითხებოდნ, კრო მეორეს: რას ნაშნავს აღდგომა მეგდრებოთ? (მათ. IX, 9 და 10). მოციქულებმა იცოდეს, რა თემაზ უნდა, რას ნაშნავს მეგდრებოთ აღდგომა, რადგან ცოტა ნების წინეთ იმათ აკადემიის იქსო ქიასტემ აღადგინა ასული იარონისას, და მე ნაი-ნედ მეკად დედა გაციისა და ამორო თუ მათ უკანონო და კითხულობენ, რას ნაშნავს მეგდრ-ოთ აღდგომის ეს განციფრება მიმართული იყო

განსაკუთრებით იქან ქრისტესადმი, რომელიც, თუ მასშია იყო, არ უნდა მომევდარიყო და თუ არ უნდა მომევდარიყო, როგორდა უნდა ამჟღარიყო შევდრეთით?

უკანასკნელ მოგზაურობის დროს რეასა- ლიმში, როდა იქსო ქრისტემ ხელა და დაუწეო თავის მოციქულებს ლაპარაკი, რომ მას ჭერის აღმენ და მესამე დღეს აღდგება (მთ. XIX, 17—19; მარ. X, 32—34, ლკ. XVIII, 31—33); მათ არა გულისხმი ჰქონის ესე, არამედ იყო სიტუაცია იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქმული იგი (ლ. XVIII, 34).

როცა იუდა—გამცემებმა მოიკავნა გეთისამა- ნაში მხედრები და მასამსახურები იქსო ქრი- სტეს შესაძლებელი, (ლ. XXII, ი. XVIII, 12) როდესაც უკავი იუებოდა აღსრულება ქრი- სტეს წინასწარმეტეულებისა მას ვნებას და სა- კადალზე, მოციქულებს შაშინაც არ უნდოდათ დაუ- ჭერებით, რომ შესაძლებელი იყო მესინის ვნება და, რომ დაეფრინოთ მოსალობრება უბრეულებისა- კან, უთხრეს: უფალო, უპერე არა მოკარება ესენი მახვილათა? (ლ. XXII, 49) ხოლო გულფიცებებმა ჰეტრემ, არც კი მოუცდა იქსოს, ისეც სცა მახვილი მოხსია მოგდებოთარიასა (მთ. XVI, 51, მრ. XIV, 47, ლ. XXII, 50; ი. XVIII, 10.)

ხოლო როცა იქსომ აუკრძალა მათ მახვილის სმარება, როცა იგი დაიწირეს და წაიყვანეს, მა- შინ უკეთ მოციქულებმა: დაუტაქეს იგი და იყლ- ტოდენ (მთ. XXVI, 56; მარ. XIV, 50), იყლ- ტოდენ, რა თქმა უნდა, შერის მაიებელ უარი- სევერთ მიშისგანაც და, შეიძლება, ეჭვაც შეუ- ვიდათ იქსოს მესიანიაში, რადგან იგი დაიჭირეს და წაიყვანეს, როგორც აკაზება.

ამ გრძნობას გავაძების შვებ იყინი, თუმცა კი სედაცებები, როგორ ჟვარის აცმიდენ მათ მო- დგანის, გარნა მორიცგან, მაღვით; მხოლოდ თა- მნები: არ შემინდია კარგებები დაომის. ხოლო, რო- დესაც იგი გარდობისნებს და დასასჯებებს, რო- გორც კაცი, იგინი მწერალებამ მოიცეცა და მზათ იუდეას უკადაგერმა მოტულებულებად აღერისათ თავი-

ათ როგორი იყო სულიერი მდგომარეობა მოციქულებისა, როცა მათ დაჭირებუს თავის მო-

ძღვარი და მორცხი დაისწინეს: შაში დექნის, ჭუნ- ება, გაუგებ რაბა, ეჭვა, მწერალება, სისოწარევებით და... და არა მოღოლის ქრისტეს აღდგომის, რომელიც მათ სიკვდებით არ სწამდათ, რომელ- ზედაც ფიჭრიც კი არ შეაძლოთ.

ჭმუნება, უიმედობა და ურწმუნებება მოცი- ქებებისა მი ზომიძლე ძლიერია იყო, რომ, როცა მარიამ მაგდალინებამ და მწერალებებულება დადგება აუწესებს მათ აღდგომა ქრისტეს, მათ უჩხდეს სი- ტუანი მათია, კით აც სიჩერისახია (ლ. XXIV, 11). ხოლო კედოპაშ და სხვა მოწაფებრ, რომელიც იმავე დღეს, საღამოს, ემსუშა მადიოდებნ აღვსილ- ნი სასოწარევეთიღებითა, უამბეს არ იქსოს მისივე კვარცებს და სიკვდილი, უთხრეს: ჩენ კი იმედი გაქონდა, რომ იგი იყო ის, რომელიც უნდა დაუსხსნა. შემდგა, როცა რომელიმე დედოთი ხა- მებამი გადასცეს ქრისტეს აღდგომის, შესისხებ, ამ მოწაფებამ გამოიხინეს სიკლი ურწმუნებება ქრი- სტეს აღდგომის შესძლებლებაში, რადგან დაუ- მატეს, რომ იმ დედებმა გაკვირვეს იგინა (ლ. XXIV, 21 և 22). ხოლო როცა ეს მოწაფება დაბრუნდებს იერუსალიმში და უამბეს დახარჩენებს, რომ ისიცეს იქსო აღდგომიდა მკედრეთით, მოცი- ქებების მათია არა რწმენა (მრ. XVI, 13.).

ამ ნაირათ საბუთ გაქვეცი გადაჭრით ესთეჭათ რომ მოციქულების არ სწამდათ შესძლებლობა მეს- იას კენებისა და სიკვდილისა და ამ მასადამე აღ- დგომისაც. ამიტომ ტუებილა ურწმუნო აღმანი- ბის ასპარაკი შეისხებ იმას, კითომ მოციქულება ისე ნირთდ იუცხეს მომხადებული ამ აღდგომისა- თის, ისე ძღიერ ოცხებობდებს მკვდრეთით აღ- დგომიდ ქრისტეს ხიდვაზე, ისეთი დარწმუნებით მოელოდებს მას, რომ მათი თანხებიდან გამოწვეუ- ლი და მათი აშლილ წამოდგენის წისა წამომ- დგათ ჩეცება: იქსო ქრისტეს მიღების სამდგრად მის გამოცხადებით, მის მკედრეთით აღდგომით.

იმით აგიწევებით, რომ სიკლ ჭმუნებას და უიმედობაში, რომელშიცაც ჩააგდო მოციქულება მოძღვის სიკვდილი, უცხებობა შეუძლებელია. მხოლოდ სისოწარებით აღდგომის, მხოლოდ მკედრეთით აღდგომიდ იქსო ქრისტეს ნამდება კამოცხადებას შეეძლო გაეფანტა მისი მოწაფების იჭვანობა; ისიც უნდა იოჰანეს, რომ იკვების გა-

საფანტეზია საჭირო შეიქმნა შესხებელი საბუთება.  
მოციქულმა თომაშ, რომელიც მკვდრეთით აღდგო-  
მილ ქრისტეს პირველ გმრთებების, არ დაწირებია-  
სოჭა; უკუთა არა გასილო სედოს მისია სახე  
აგა სამსწევალთ და დაგესხე თოთხა ჩემია ად  
გრძელს მას სამსწევალთას და დაგესხე სედო ჩემია  
გასურდა მისია, არა სადა მიწმენეს (ი. XX, 25),  
ე. ა. არ დაკავრებ, რომ იგი ცორსადი, რომ  
იგა ადგა. მიკრმ განა მსოლოდ თომაშ გმრთე-  
ლება ასე მეტითო თავის ურამუხოება ნე თუ  
ამ მის მისწიდება არ ყოფილას დასაჩენა მოცი-  
ქულება? მიმს პასუხებს ჩენ გვატეთ მარკოს,  
დუა და თავების სახარებაში. როცა თავის აღ-  
დგომის ბირველ დღეს ქრისტე გამოუცხად ერთ  
ოთხში შეკრებიდ მოციქულები და რეგა მათ:  
„მშიდობა თქვენთან!“ იგინა შეძრწ უნდეს და შე-  
ქმნით, კეთინთ, რამეთუ სული ასალეს, ხო-  
დი მას რეგა მთ: რასა შეძრწ უნებულსართ და რასა-  
ოვანი გულის სიტევაზი მრავალი მოვლენან გულ-  
თა თქვენთა? იხილენია ხელია ჩემია და ფერსნია-  
რამეთუ თვით მე კარ; სადა შემახეთ მე და ისი-  
ლეთ, რამეთუ სულია ხორც და მგადა არა ასენ,  
კოთარცი ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ“ და ესე  
რა სოგება, უჩვენა მათ ხელია და ფერსნია თვისნა  
(ი. XXIV, 36—41) და ვადრე იგი არდა  
ძმენა ით სისარულის მისან და საკვირველე-  
ბის, რეგა მათ იქნა: გაქვთ აა აქ ჭამდი?“  
ხოლო მათ მიუჰერეს მას ოქეზისა მწერისა ნახე-  
ვარი და თაფლია აგან კოლი, და სტამ წინაშე  
მათსა. (ი. XXIV, 41—43).

აი როგორი საბუთება დასტირდათ მოციქ-  
ულებს იქსო ქრისტეს მგრძელოთ აღდგომის სი-  
სამძელებე დასარწმუნებლად!

(შედევი—იქნება)



## კვირიდამ-კვირამდე.

რედაქტირ მიიღო ქუთაისის სათავალ-აზ-  
ნაურო ქართული გიმნაზიის და მსსან არსე-  
ბულ ალექსანდრეს სათავად აზნაურო შეოლის  
1909—10 წ. წლიური ანგარიში, ამ ანგარი-  
შიდან წინა, რომ წლის განმავლობაში გიმნა-  
ზიაში ყოფილა 8 ძირითადი და შეიცი პარა-  
ლელური კლასი 744 მოწაფით, რომელთაგან  
მხოლოდ ერთი სომეხია. კურსი დაუმოვრებდა  
27 შაგირდს.

სასწავლებელზე დახარჯულა 68224 მა-  
ნეთი და 11 კაბეკი.

— ალექსანდრეს შეოლიაში ყოფილა 471 შე-  
გირდი — სულ ქართველები. შეოლის შესანა-  
ხით დახარჯულა 19628 მანეთი.

ამ ნაირათ ორთავე სასწავლებელში ყო-  
ფილა 1205 მოსწავლე. დახარჯულა 87852  
მანეთი და 11 კაპ., ე. ა. თოთვულ შეგირ-  
ძე დაბალვებით 72 მანეთი და 10 შაური.

აქედან დაუხარჯნა — ბანკ 25720 მ.,  
თავად აზნაურობას 6260 მანეთი, ხოლო სის-  
წავლებელს თავის საშუალებიდან (სასწავლ  
ჭირა და სხ.) 55872 მანეთი და 11 კაბეკი.  
აქედან 9981 მანეთი 11 შაური და 4 კაპ.  
ვალი დადგებია.

როგორც ანგარიშიდან სჩანს, სასწავლე-  
ბელს ეტყობა ბიბლიოთეკისა და ფიზიკურ კა-  
ბინეტის სიმკირე და ნაკლულევანება. ფიზი-  
კურ კაბინეტის ნაკლულევანებას თვით გმ-  
გებობაც აღიარებს და აშბობს, რომ ეს გარე-  
მოება მეტათ აბრკოლებს საგნის რიგინათ  
შესწავლისათ.

წელს გამოიერთის ეპარქიალური სასწა-  
ვლებლის 8 კლასი დაუსარულებია ოკედა შეიდ  
ქირთველ მოწაფე ქალს. აი ზათი სახელი და  
გვარი: 1) ლუბა მცედლიძე, 2) ნინა დგებუა-

ძე, 3) ვერა ბარბაქაძე, 4) გენრიეტა მეუავანაძე, 5) იულია ჯულელი, 6) მარიამ ჯიშეარიანი, 7) ნატალია მჭედლიძე, 8) ნინა ნაცვლიშვილი, 9) პაბილ. სულაქველიძე, 10) თამარა სულაქველიძე, 11) ელენე მომფორჩა, 12) ვერა მაჩირაძე, 13) ლუბა დანელია, 14) ეკატ. ქუთათელაძე, 15) ანა ჩიხლაძე, 16) კახე. კალანდაძე, 17) ლილია იოსელიანი, 18) ანა უვანია, 19) ელიდი იაკობაშვილი, 20) ოლღა კობაძიძე, 21) აგრატ. რობაძიძე, 22) მარ. მომულონა, 23) ლილია ლექევა 24) რებეკა გაშაძე, 25) თამარა ლუკიანოვი, 26) ნატალია სუხიაშვილი, 27) იულია კანდულაკი.

როგორც გავიგეთ, მისი მეუფება ყ-დ სამღვდელო გიორგი ამ ზაფხულს ჩვეულებრივ ბორჯომში გაატარებს.

სამღვდელოება მოუთმენლათ ელის სა-  
მარხი კასის მოქმედების გახსნას.

როგორც გავიგეთ, გურია-სამეგრელოს  
სამღვდელოების ახლოხან ყოფილ კრებას გა-  
დაუწყვეტია საქალებო სასწავლებლის დაარ-  
სება ქ. ფიონში. მიხედვით, იმას ასახელებდნ, რომ ქალაქმა საჭირო ადგილი მისთავაზია და სასწავლებლის მოსაწყობი და შესანახი ნახე-  
ვარი ხარჯი იტვირთაო.



## პ. ი. ნიკოლაძის წერილის გამო.

ამავე ნომერში შეითხველი უურადლებას  
მიაქცევს პ. ი. ნიკოლაძის წერილს რედაქტი-  
ოს მიმირთ, სიდაც იგი სხვთა შორის უის-  
კოფს თავის ლოტბარობას და სულილობს დაგვიმ-

ტკიცოს, რომ ის მგალობლები, რომლებიც მთა-  
ვარ ანგელოზში გალობენ, მას არ მოუმზადებია.  
თუმცა უ ნიკოლაძის ასეთ ლითონ სრტყვით  
მტკიცებას ჩვენ მნიშვნელობას არ ვაძლევთ და  
მთავარანგელოზის მგალობელთა გუნდს მაინც  
მის ნასწავლ-გამობრძედილათ ვთლით, მაგრამ  
ჩვენ მაინც მივიღებთ მის ასეთ განკვადებას  
სიმართლეთ.

გ. სობორს „ხორისტისა“ არ იყოს, ბ. ნიკოლაძეს აქ იმდენი ბრალი არ ედება, რამ-  
დენიც სხვას, რომელსაც თავის მოვალეობა  
ეკლესიია და მრევლის მიმართ შესრულებუ-  
ლათ მიაჩნია და დატნის ფურცლებზე გნი-  
სვენებს სრული კმაყოფილი თვეის თვეის.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბ. ნიკოლაძემ  
გალობაც იცის და სწავლებაც შეუძლია, ისიც  
ვიცით, რომ მთავ რანგელოზის ეკლესიის მეუ-  
რედავითნეა და თავისუფალი დრო ბევრი აქვს,  
რომ ხორო მოაწყოს; ისიც ვიცით, კიდევ,  
რომ ეკლესია საკმაოთ მდიდარია, საკმაო შე-  
მოსავალი აქვს, შეუძლია ორი კაი ხმიანი ყმა-  
წვილი კაკი დაიქრაოს და თავის მედავითნეს,  
მ. შასადამე უფასო მუქთ ლოტბარის, რომელიც  
მასთან შესანიშავი ბანიც არის, დაავალოს  
გალობის მოწყობა ეკლესიაში. მაგრამ ამას  
ეკლესიის კედლები ხომ ვერ იზამენ. ეს უნ-  
და ჰქნან იქ მოსამსახურე მღვდლებმა და ეკ-  
ლესიის სამსრუნველომ, თუ ასეთი სამსრუნვე-  
ლო არსებობს იქ, და თუ ეს უკანასკნელი  
თავის მოვალეობას ასრულებენ და ისე უადგი-  
ლოთ არ მომენტონებენ, როგორც მათი მეზობ-  
ლები, მაგრამ აქ მომენტონებაზე ლაპარაკი შე-  
ტია, რადვან, საბერინი ერთოთ, ქართულ გალო-  
ბას მხოლოდ სამი კაცი სჭირდება, რომელ-  
თაგან ორი მოწვეული პირების ჯამაგირათ თვეში  
10 მანეთი იყმარებს, ე. ი. 120 მანეთი წელი-  
წილში. მაგრამ რა სახენებელია ფული იქ, სა-  
კა საქმე ლოთის მსახურებას და წირვა-ლოც-  
ვის განშვენებას შეეხება!..

იმედი გვაქვს, მთავარ ანგელოზის ეკლე-  
სიის მაძები კელავისოვის მაინც შეუდგებიან  
იმ საქმის მოწყობას და მაგალითათ გაუხდე-  
ბიან დანარჩენ ქუთაისის წ. მამებს.

ხლი.

## შინაური მიმოხილვა.

### I

გასული სიუკუნის ოთხმოციანი წლებიც ისე, როგორც ამავე საუკუნის სამოციანი წლები, ფრიად საყურადღებო ხანაა ჩვენს განაალებულ ცხოვრებაში. კავკასიის აქეთა მხარის არე-მარეზე იქ დროს იჩინა თავი თრამა საქვეყნო დიდმა საქმე — ნავთის წარმოებამ ბაქოსთან ახლოს, აფშერონის ნახევარ კუნძულზე და შავი ქვის (ზანგანეზის) მრეწველობამ — საწერეთლოში.

### II

აღნიშნულს ადგილებში დამტკიცდა თუ არა ნავთის გასაოცარი სიმდიდრე, იმ წამსვე ბაქოში მიწვეულ იქნენ დიდი ცოდნის, ტალანტის და ენერგიის სპეციალისტები, საზოგადო მოლვაწენი, მათ შორის კავკასიის პუბლიკისტების არწივი ნიკოლოზ ნიკოლაძეც საბჭოდ, სადაც წყდებოდა მთელი სახელმწიფოსთვის დიდად სასარგებლო საქმეები. გადასწყდა თფილისის ბაქოსთან შეერთება რკინის გზით და მალე მიყრუებულს კარიაზის, ეკლასის და შირვანის გახურებულს ტიტველს მიღვრებზე უკვდავი გიორგი სტეფანის ლოკომატივმა მძინარე აზელების გამოსაღვაძებლიდ გველებაპივით საგდასწერო იკივლა...თ

ამ გზას თან მოჰყევა ექრანის სხვილი კაპიტალი და სომხებთან, თათრებთან ერთად ქართველობაც მიაწყდა ამ სიმდიდრის წარმოებას. მთავრობის ნებადართვით ნავთის მრეწველო ნება მიენიჭათ ბაქაში კრებების მართვისა, სადაც კრებისთვის საბჭო აქვთ გამართული, რომლის მეოხედით და სომხებით და სომხების საზოგადო დაწესებულებას საზოგადოებისა და ხალხის თვისი განსაზღვრული პოლიტიკური მიზანის განვითარებისა და მის ფარგლებში ტრიალების ივი. ჩვენ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ გული, რომ ნავთის მწარმოებელთა საზოგადო დაწესებულებას საზოგადოებისა და ხალხის თვისი ჯეროვანი სარგებლობა მოუტანია. და იმაზე უდიდესი, უმაღლესი და უკეთილშობოლები მიზანი საზოგადო დაწესებულებისთვის, გინდა საზოგადო მუშაკისათვის რაღა უნდა იყვეს, თუ არ ზრუნვა და ფერი ხალხის, მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებზე? მშრომელი ხალხის უმრავლესობის სამსახურია ნამდვილი კეშმარიტი დემოკრატიზმის სამსახური.

ვინ მოთვლის აქ იმ სიკეთეს, რა სიკეთეც ამ ფულებით ნავთის მრეწველობა საბჭოს გაუკეთებია საზოგადოთ მრეწველობისთვის და მუშებისთვის. გზები, მუშების საუხოვრებელი სახლები, სასმელი წყალი, სანოვაგის მოწერიების საქმე, სკოლები, სააგათმყოფოები, მუშათა დაზღვევის საქმე, სახალხო წარმოდგენებისათვის სკენები, სიჯარო ლექციები, ელექტრონის განათება, წიგნთ-საცავ-სამკათხველოები და სხვა და სხვა. მე დამითვალიერებია ყველა ესენი და განცვიფრებაში მოკულვარ.

ჩემთვის სასიხარულო ის იყო, რომ სხვა ერის შვილებთან ერთად, ჩემი ქვეყნის შვილებსაც, ახალი საქართველოს ცოცხალ ელემენტებსაც წილი ჰქონდათ ამსაერთო, საქვეყნი დოკლათში, და კამაყოფილების, ღიმილი ტუქჩებზე მეხატებოდა. რასაკვირველია ჩემი იდეალი შორს არის იმაზე, რაც მე იქ ვნახე. მაგრამ საქმე ხომ ჩემს იდეალებზე დასურვილებზე არ არის. საქმე სინამდვილეა, ცხოვრების ყოველ დღიური დუღილი და ცხოვრებას კი აქვს თვისი განსაზღვრული პოლიტიკური მიზანის კანონები და მის ფარგლებში ტრიალების ივი. ჩვენ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ გული, რომ ნავთის მწარმოებელთა საზოგადო დაწესებულებას საზოგადოებისა და ხალხის თვისი ჯეროვანი სარგებლობა მოუტანია. და იმაზე უდიდესი, უმაღლესი და უკეთილშობოლები მიზანი საზოგადო დაწესებულებისთვის, გინდა საზოგადო მუშაკისათვის რაღა უნდა იყვეს, თუ არ ზრუნვა და ფერი ხალხის, მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებზე? მშრომელი ხალხის უმრავლესობის სამსახურია ნამდვილი კეშმარიტი დემოკრატიზმის სამსახური.

იო ამ დემოკრატული სამსახურით არის გამსჭვალული ნავთის წარმოების საქმე ქართველთათვისაც. აქ ახალგაზღა საქართველოს შეილება იმდენი მხნეობა და ნიჭი გამოიჩინეს, რომ წარმოშობებს ქართველი მილიონერი — საარაკო ამბავი მთელს ჩვენს ისტორიაში — ზუბალაშვილი, რომელიც ცნობილი ქველ-მოქმედია

კავკასიაში. გარდა ზუბალაშვილისა, არის სხვილი ფირშა ჩვენში ცნობილი გენერალ-აღიუტანტისა, იგანე გივის-ძე ამილახორისა და ინფეროს დადიანისა, რომელიც, ამბობენ, მილიონერია.

მე დარწმუნებული ვარ, ქართველობას თვის დღიზე ომ ყოლოდა, ან ხელა მაინც უკავებს უურნალ-გაზეთობაში, პუბლიცისტი-კაშა მეთაურები, რომელიც ამ მრეწველობისკენ ნიადეგ, მუდამ ღლე უწვენებდენ გას გხას, ეს ძალიან მცირე რიცხვი ქართველ მრეწველებისა ერთი ათად მეტი იქნებოდა. მაგრამ ქართული უურნალ-გაზეთობა და პუბლიცისტკა მუდამ ყავლიდ უვიცი, ხეკი იყო თანამედროვე რთულ მრეწველობის საქმეებისა, რაცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ნიკოლოზ ნიკოლოზ თავის „Novoe Oboz-  
ruchie“-ში თითქმის ყოველ ღლე ქუხდა ამ სამრეწველო საქმეზე, სოფლელთა, ტეტიათა მეურნობის მატრიციალე, „ივერია“ დაცინ-  
ვით „წყაზარ გაზეთ“ უწოდებდა მას.

მაგრამ, მაღლობა ღვერთს, იხლა თვით ბაქის ქართველობა არის ძალიან ფხიზლად და მარჯვედ იმ ჩვენს დროში. დღის იქ მან დაისახ წ. კ. გამაურცელებელი სახოგა უოგის განყოფილება, ქართული სკოლა, წიგნთ-სა-  
ცავ სამკითხველო, თეატრი, სადაც წრეულს, ჯერ არ ნახულა ბაქოში, ისეით დაუკარგარ, შეანიშავეთ საღამო, გათმართა, ქალაქმაც მიუ-  
ძლვნა მას ძალიან კაგი ადგილი ქართული ეკლესის ხაშურის და წარმოიდგინოთ, შარშან ჩინებული ქართული გაზეთიც გამოს-  
ცეს, რომ გარემოების ხელი შეეწყო, მიუცი-  
ლებლიდ, დღეიდან ბაქის არე-მარეზე გაჩნდა  
ცოცხალი ქართული საქმე, რომელიც ქარ-  
თველობას უკვდავების საერთო სულს შეაბრ-  
რავს.

მე მრჩამს, რომ ბაქოში ნაეთის წარმოე-  
ბის საქმეში ჩარევით ქართველობამ თვისი  
დიდების სასახლის აღმენებისთვის საძირკველი  
მკვიდრათ ჩამოარა, და მთიცრიდან ჩვენს საერთ-

საქმეს იქ უფრო დიდი წარმატება და ნაყო-  
ფიერება მიეცემა.

ხომლელი.

(გაგრძელება იქნება).



### შინაურ საქმეების რედაქციას.

თანახმად სურვილის მდგრედი შ. გერგასი ბარათაშვილის და მ. ბესარიონ გაშაძისა, ამასთანავე გაგზავნით ბირს იმ განხენისას, რომელიც ჩვენ მიერ დაგენილა ამა ივნისის 3 რიცხვს შესხებ ატებილი მათ მორის დავისა. გთხოვთ პარაგვე გაზეთის უმსხვილეს წომერში განხენი ესე და-  
სტამბოთ.

თავმჯდომარე დ. აბაშიძე.

წევრნი: { ბლადონია ი. წერეთელა.  
მდგრედი იაკამე მოდებაძე.

6 ივნის 1911 წელს.

### განაჩენი.

დაბა კიათორა, ათას უხრიას თერთმეტსა წელს, იგინის სამსა დღესა, საფუძველსა ზე-  
და ხელშერილისა, დაცებულის მდედელთ გერ-  
ვასი ელეფთერიისას ბარათაშვილის და ბეს-  
რიონ იკამბისძის-ვაშაძისგან ამავე წლის მა-  
სის ა რიცხვ-დან ჩვენ ამორჩეულთ მედია-  
ტორით ას. დიმიტრი ივანესძე აბაშიძემ, ბლა-  
ლობინმა მღვდელმა იოსებ წერეთელმა და  
მღვდელმა იოაკიმე მოღვებაძემ, განვიხილეთ  
მათი ერთმანეთზედ საჩივარი ავრეთვე დასტამ-  
ბული იმ წლის გაზეთის „შინაური საქმეების“  
მეთერთმეტე და მეცამეტე ნომრებში წერილი  
მღვდლის ბესარიონ ვაშაძისა და პასუხი  
მღვდლის გერვასი ბარათაშვილისა და აღმოჩ-  
ნეა, რომ საქმის უმთავრესი გარემოება არის

შემდეგი: 1. ღ. ჭიათურის მ ეხოვრებნი მართლ-  
შადიდებელნი ქრისტიანენი ყად სამღვდელო  
ლეონიდის განვარგულებით 30 დეკემბრიდან  
1907 წ. მიწერილ იქმნებ ზედა რგნის ჭტა-  
რის ეკლესიზე, სადაც მღვდლათ იმყოფებო-  
და და იმყოფება მღ. მ. ბესარიონ ვაშაძე.  
1908 წლიდან ჭიათურის სამოქალაქო სასწა-  
ლებელში დაინიშნა სალვთო სჯულის მასწავ-  
ლებლით მღ. მ. ვერავასი ბარათაშვილი; რაღ-  
ან ჭიათურაში ეკლესის აღმენება განძრა-  
ხული იყო და ბალვარიც უკვე ამ შენებული,  
ამისთვის ორგავე ზემოგანცხადებულმა  
მღვდლებმა მოინდომეს ამ საქმის მეთაურობა,  
როს გამო ხალხიც ორ ბანაკთ გაიყო, ერთი  
ერთ მღვდლს მიემხრო და მეორე მეორეს;  
2. მღვდლი ბარათაშვილი დროებით მცხოვ-  
რებთ უსრულებდა მღვდლმოქმედებას, თუმცა  
როგორც სჩანს წარმოლენილი საბუთებიდან  
ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის; გიორ-  
გის რამოდენიმე რეზოლუციით ჭიათურის  
მცხოვრები, როგორც მკვიდრი ისე დროე-  
ბით მოსულნი არინ მიწერილნი ზედა რგნის  
შრატხედ. ამ რეზოლუციათა შორის არის  
რეზოლუციის მისი მეუფებისა: 13 აგვის-  
ტონი 1908 წლის შემდგომის შინაარსისა:  
ა) სამ ღ. ვაშაძე იმართება მას ბა-  
რათაშვილის არც ერთი რეზოლუციით არ  
აქვს აქრძლული დროებით მცხოვრებთა შო-  
რის მღვდლმოქმედების შესრულება; როდე-  
საც მას მოიწოდებენ, მაგრამ უკვე შემთხვე-  
ვაში ამ საკითხის განხილვაში ჩვენ ვერ შე-  
დივართ, რაღვან იგი შეადგენს სისულიერ  
მთავრობის უფლებას.

მანია". 3. განცხადებული ეკკლესის სტუთ-  
ხმა და მღვდლის ბარათაშვილის მიერ ამო-  
დენიმე შემთხვევაში დროებითად ჭიათურაში  
მცხოვრებთა შორის მღვდლმოქმედების აღ-  
სრულებას ამ მღვდლებში გამოიწვია არა ეკ-  
ტილი განწყობილება, რომელსაც შედევათ მო-  
ყვა ისიც, რომ ერთი მეორეს ნაღებში და წე-  
რილობითაც არა შესაფერისიც იხსენიებდენ.  
4., მღვდელმა ბარათაშვილმა ეკვი შეიტანა  
მღვდელ ბესარიონ ვაშაძეზე, ვითომც მას გაე-  
ცრცულების შესხე საზისძარი ხმები ხილები  
და 5) მღვდელი ვაშაძე ბრალს სდებს ბარა-  
თაშვილს, რომ მისი დაუდევრობით უზიარებ-  
ლით გარდაცვლილა ჭიათურის სავათმეტო-  
ში ვასილ ნიზაძე და ეს მას ჩაუდენია იმ  
განზრავით, რომ საზოგადოებაში მღვდლის ვა-  
შაძის წინააღმდეგ შფოთი და უკმაყოფილება  
გამოიწვია.

განვიხილეთ რა საქმის გარემოება და მი-  
ვიღეთ რა მხედველობაში მხარეებისაგან წარ-  
მოდენილი ბრალდებანი და პაუზი (წერი-  
ლობით) ერთათ მათ მიერ წარმოდგენილი სა-  
ბურებისა და მოწევების ჩვენება, ჩვენ მედია-  
ტორებმა დავაუგინეთ: 1. უნაიდგან ეკკლ-  
ესის ავენების საქმეში ორთავე მხარენი ვსუა-  
ნით პირადი ანგარიშებით აღჭურვილად, რო-  
მელცაც მოყვა საზოგადოების ორ ნაწილათ  
გაყოფა და მის გამო ეკლესის აშენების  
დაბრულება, ამისთვის ამ მღვდლების მოქმე-  
დება ვსუანით არა შესაფერად.

2. ოუმცა ჩვენის შეხედულებით მაშა ბა-  
რათაშვილს არც ერთი რეზოლუციით არ  
აქვს აქრძლული დროებით მცხოვრებთა შო-  
რის მღვდლმოქმედების შესრულება; როდე-  
საც მას მოიწოდებენ, მაგრამ უკვე შემთხვე-  
ვაში ამ საკითხის განხილვაში ჩვენ ვერ შე-  
დივართ, რაღვან იგი შეადგენს სისულიერ  
მთავრობის უფლებას.

3. რომ მღვდელი მ.მ. ვერვასი ბარა-  
თაშვილი და მ. ვაშაძე ხალხში, თუ ბევრ-  
დოთ სიტყვა ერთმანეთს შეურაცყოფას აუ-  
ნებდენ, ამაში ორივე მხარენი ვსუანით და-  
ნაშავეთ და მოქმედება ვათი არა შესაფერად.

4. იმ ბრალდების, რომელსაც მღვდელი ბარათაშვილი ეწამებოდა მღვდელს ვაშაძეს საზიზღარი ხმის გაფრცელებას, განხილვაში არ შევდივართ, რადგან თვით მღვდელმა ბესა-რიონ ვაშაძემ განაცხადა, რომ ის საზიზღარი კორი, სხვისგან გაგონილი, მას მწუხარებით უთქვაშს ორი თავისი ამხანაგისთვის, არა მის-თვის, რომ მას ქონიდეს სახეში ბარათაშვი-ლის პატიოსნებისათვის ჩირქი დაედვას, და უკეთუ ამას ბარათაშვილი სთვლის საწყენადო, იმ შემთხვევაში ბოლიშ ვიხდიო, რითაც ბა-რათაშვილი კმაყოფილი დარჩა.

და 5) შესახებ საავათმყოფოში ვასილ ნოზაძის უზიარებლად გარდაცვლისა. რო-გორც მოწმების ჩერებით აისხნა, მღვდელ ბარათაშვილს ამ საქმეში ბოროტი რაიმე გან-ზრდავა არ ქონია და კილევაც შემჩადებულა წასავლელად თავის დროზე, მაგრამ აღარ წასულა, რადგან ტელეფონით ცნობა მიეღო, საჭირო აღარ ხარო, ამისთვის მღვდელი მ. გერვასი ბარათაშვილი ამ საქმეში დამნაშავეთ არ ვსცანით.

განჩინება ესე გამოეცხადოს ორივე მხა-რეს და თანახმად მათის თხოვნისა ერთი პი-რი ამ განჩინებისა წარუდგეს ყოვლად სამ-ღვდელო იმერეთის ეპიკონბის გიორგის, ხოლო მეორე პირი გაეგზავნოს „შინაური საქმეების“ რედაქციის დასასტამბათ და გამო-საქვეყნებლად. თავმჯდომარე დ. აბაშიძე ბლა-ლობინი მღვდელი იოსებ წერეთელი, მღვდე-ლი იოაკიმე მოდებაძე. 1911 წელს ივნისის 4 დღესა განჩინება ესე გამოგვეცხადა — მღვდე-ლი ბესარიონ ვაშაძე, მღვდელი გერვასი ბა-რათაშვილი განაჩინი გამოუცხადეთ: თავ-მჯდომარე დ. აბაშიძე, ბლალობინი მდ. ი. წე-რეთელი, მღვდელი იოაკიმე მოდებაძე.

პირი ესე სისწოროთ არის გადმოწერილი: თავმჯდომარე დ. აბაშიძე.

შემონი ბლალობინი მდ. ი. წერეთელი.  
შემდელი იოაკიმე მოდებაძე.

## შინაური რედაქ- ციის მიმართ.

ბართონ რედაქტორ!

თქვენ პატივცემულ გარ. „შინაურ საქ.“ № 11 მოწინავე წერალში ბ. „ხელი“ მწუხარებით მოვათ-ხრობს, რომ მოუხდავად სასულიერო სასწ. ქართული გალობის სავალდებულოდ შამოღებისა, კერძო დამარტინისა, მორწმუნე ნაწილის ჩივილ-ღალაზისა და რამდე-ნიმე ხნის ქართ. გალობის მოღნეთა მოღვაწეობისა, ვერ ველირსეთ და ვერა ქართულ გალობას ეკლესიებში, განსაკუთრებით ქუთაიში. 6—7 ქართული ეკკლესია-ქ. ქუთაიში და ველებან მედავითნეთა გულ შემაწუხე-ბელი ღილინი გაისმის და, რომ ამ საქმეში მოვალეობი—ეკლესის ზოგიერთი წინამდღვრები ყურადღებას "არ აქცივენ—სრული გეშმარიტებაა ყოველივე შემო თქმული, მხოლოდ არ შემიძლია ერთში დავთანხმო ბ. „ხელს“. ბ. ხელი წერს: „მთავარ ანგელოზის ეკლე-სიაში, სადაც ერთად ერთი ქართულ მგალობელთა გუნდი (?) არსებობს ბ. ი. წიკოლაძის ლოგბარობით, არაფრ სანუბეშოს არ წამოადგენს და თავის თავად მხოლოდ ქართული გალობის პაროდიათ შეგვიძლია შევრაცხოთა“ — ეს კ. სიმართლეს მოვალებულია და ვერ ვეთანხმები იმიტომ, რომ მთავარ ანგელოზის ეკლესია-ში, რომ გალობენ იმათი ლოგბარი მე არ ვარ და არც ჩემი ლოგბარობით არსებობს, მე მხოლოდ მთ. ანგელ. ეკკლესის ეზოში—საკურადებულო სახლში, ეს ერთი ხანია, ვასწავლი სხვა პირებს ქორიძისაგან ნოტებზე გადა-ბულ ქართ. გალობას და მსუბუკ-კი ალაგ ალაგ ეკელ-სიებზე ვაგალობო, ჩემგან ნაწავლი, ქართული გალო-ბის მოღნენი, თუ ეკლესის წინამდღვრები ნებას მო-ცემი ხანდაპნ და მაშინ შეუძლია ბ. ხელს თავისი მსჯავრი და დას და აგრეთვე თუ ვისმე ღრმად ანტე-რესებს სავარგის ქართული გალობის არსებობა, თავი-სი აზრი მათაც გამოსთვენ ჩემსან ნასწავლი, ქართული გალობის ლორება—ნაკლულებანებაზე. ეკკლესიებში გა-ლობის დაარსება ეკლესიების წინამდღვრების საქმეა, თუ, სამწუხარო, გულ ცივად არ უურებენ ამ საქმეს. მე შეინდა შემთხვევა წასულ წელს 8 სეკტემბერს და ვა-გალობებ გელათის მონასტერში ჩემგან, გალობაში მომ-ზადებული, რისთვისაც მისმა მეუფებაშ ლოცვა კურ-თხევით დამაჯილდოვა.

მედაგითნე იფლაბანე იფანეს ძე ნიკოლაძე-

დიდათ პატივუფელო მამაო რედაქტორო!

უმორჩილესით გთხოვთ ამ წერილს დღილი უბოძოთ „შინაური საქმეების“ მხალობელ ნომერში და მით მომცეთ შეძლება სიმართლის აღსაღენად ორიოდე სიტყვა მოვაჭინო მკითხველებს მ. გერვასი ბარათაშვილის საპასუხო წერილისა გმო.

მ. გერვასი ბარათაშვილი თვის წერილში, რომელიც მოთავსებულია ამ წლის „შინაური საქმეების“ № 13, ვითომ ჩემს საპასუხოდ, ასებითად ვერავითარ პასუხისაც ვერ იძლევა; სიტყვა ბანზე აუგდია, აშორებია სალაპარაკო საგანს და რაღაცა აბრა-უბრას მოყოლია, რაც ჩემს სალაპარაკო საგანს სრულიადაც არ შეეხდა. ამიტომ იმ საპასუხო წერილის შინაარსს იძლენად ლირსად არა ვსთვლი, რომ სრული პასუხი მივსცე, მხოლოდ საამხანაგო სამართლში ჩემი გამოწვევის შესახებ მ. ბარათაშვილი იმბობს, ვითომ მე ჯერ დავთანახმდი და მერე კი უარი მეთქვას და სხვა. ეს სრულებით ტყუილია; მე არაოდეს არ დავერიდები, სამეცნიერო სამართლის, რადგან ძალიან მაღლა ვაყენებ მას, რადგანაც იგი არის არა მარტო ფორმალურ კინონებზედ დამეარებული, არამედ სინდისტედ, პატიოსტებაზე, და ზნეობაზე, რასაც მოწმობს ჩემი წერილი, რომელიც დასტამბულია 1907 წლის გაზეთ „მწყემის“ № 3. მაგრამ საქმე ი რაში გახლავა: ამ წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, როდესაც მ. ბარათაშვილმა მოციქულიდ დააყენა ჩემთან ყველასაგან დიდათ პატივუფელი ნიკოლოზ კირილეს ძე რაზმაძე (ჭიათურის მორიგებელი მასაჯული) მედიატორებში გამოსვლის შესახებ, მე მოვახსენე, მოციქულს, რომ მ. ბარათაშვილს არაოდეს არ დავერიდები ზნეობრივ სამართლში, მაგრამ სადაც რა გამოჩენილი მღვდელმთავრის 8—9 რეზოლუციის არ დაემორჩილა მ. ბარათაშვილი, უპარ მაქს, რომ სამეცნიერო სამართლის დაგენერაციას არ დაემორჩილებათქმა, მაგრამ ურველ შემთხვევაში ვიფიქრებ და პასუხს მო-

გახსენებთქმა“. მართლაც რამოდენიმე დღის შემდეგ მე მივედი ბატონ ნიკოლოზ რიზმადესთან და ვსთხოვე გადაეცა მ. ბარათაშვილისათვის, რომ მე მას დიდის კმაყოფილებით დაევთანხმებოდი და სიამოვნებით გამოცვებოდი სამედიატორო სამართალში, მხოლოდ იმ პირობით, რომ, რადგანაც ჩენ მღვდლები ვართ, ჩენ ისევე მღვდლებმა უნდა გავასამართლოსტექმ და ისიც ადგილობრივი მღვდლელმთავრის ნებართვითქმ, ერთ კაცებს არ აქვთ უფლება, რომ ჩენ გაგდასამართლონ და არც მივცემ ნებას ჩემს თავსთქმ; ასეთი ჩემი კანონიერი მოთხოვნილება და განცხადება თვით ბატონმა იურისტმა მოციქულმაც მომიწონა, მაგრამ მ. ბარათაშვილმა კი რაღაცა მოსაზრებით ეს აზრი დამიწუნა და ჩემის მხრით ესრეთი განცხადება უარით ჩათვალია და იმავე დღიდან მთელ საზოგადოებაში ხმა დაპყარა, რომ ვითომ მე მასთან დამნაშავე ვარ და სამედიატორო სასამართლოში გასვლას ვერიდებოდი. ჩემი წერილის შემდეგ (იხილეთ „შინაური საქმეების“ № 13) 22 აპრილს მ. ბარათაშვილმა ხელახლა მომიჯზენა ხუთი მოციქული და შემომითვალი გავსულიყავი მასთან სამედიატორო სამსჯავროში, მეც ყოველი კი არ დამიწყა, როგორც იმბობს მ. ბარათაშვილი, არამედ გადაჭრით გაუმტხადე მათ, ყოველივე ის, რაც უწინდელ მოციქულს, ბატონ ნიკოლოზ რაზმაძეს, მოვახსენე. ჩემი პასუხიდან მ. ბარათაშვილმა ისეთი დასკვნა გამოიყენა, რომ ვითომ მე ერის კაცებს არ ვენდობოდე და მიტომ ვარჩევ მღვდლებს მედიატორებთ; თუ მას ეს ჩემზე ეთქმის, მაშ მეც მეთქმის მასზედ, რომ იგი ვითომ მღვდლებს ერიდება და მარტო ერის კაცებთან ჰქონია საქმე. ისწორეთ მე ვისურვე სამღვდელო პირები ყოფილიყვნ მედიატორებთ და კიდევ ასე მოხდა: მედიატორებათ არიან არჩეულნი ბლადობინი— მღვდელი მამა იოსებ წერეთელი და და მღვ. მამა იოაკიმე მოდებაძე და მათ კი ერთმანეთის შეთანხმებით თავმჯდომარედ იორიეს ყველასაგან პატივუფელი და უნობილი დიმიტრი ივანესძე აპაშიძე, კაცი გუმანიური,

საიმელო და გამოცდილი და ეგრეთვე დაიხლოებული და მცოდნე ჩვენი. სამღვდელო-პის ავ-კარგისა, რომელნიც მოკლე დროში გაარჩევნ ჩვენს საქმეებს.<sup>1)</sup> მ. ბარათაშვილი უსირცხოდ გაიძინის: „როცესაც მოაწია ჩვენში გასამართლების დროშ, მ. ვაშაძემ უარი განაცხადა სამხხანივ სამართლები“, რაც მტკნარი სიცრუეა, ცილისწამებაა; მაშინ არავთარი სასამართლო ჩვენში არ შემდგარა, მხოლოდ მოლაპარაკება კი გვჩონდა ურთიერთ შორის ბატონი ნიკოლოზ რაზმაძის პირით, როგორც ზევით მოგახსენეთ, სხვა კი არცერა. მ. ბარათაშვილს სულითა და გულით სურს განხეთქილება და უსიამოვნება ჩამოაგდოს მე და მ. ვლადიმერ კაპანაძეს შორის და აცხადებს, რომ მ. ვლადიმერ კაპანაძეს მე მედიატორეთ არ ვლებულობ; მ. ვლადიმერ კაპანაძე მედიატორების არ მინდოდა იმიტომ კი არა, რომ ის ვითომ ცული კაცი იყოს, ან მე მითი მისი დამცირება მინდოდეს, არამედ იმიტომ, რომ მ. ვლადიმერი წასულ წლებში სასულიერო მთავრობასთან თხოულობდა, რომ ჩემთვის ჭიათურა ჩამოერთმიათ და მისთვის მიეცათ, მთავრობამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა და ასეთ შემთხვევაში ცუტათი თუ ბევრათ მ. ვლადიმერ კაპანაძე მოინტერესე პირათ ჩაითვლება ამ საქმეში და ამისათვის მ. ბარათაშვილს კიდეც რომ დაენიშნა იგი თავის მედიატორეთ, მე დარწმუნებული ვინ, რომ მ. ვლადიმერი, როგორც შეგნებული პირი, არ მისუმდა თავის თავს ნებას, რჩებ ჩვენს საქმეში მედიატორეთ გამოსულიყო. ვითომ მე შემეფელოს მოციქულების პირით მ. ბარათაშვილისათვის, რომ „შანაურ საქმეებში“ ჩემს წერილზედ პასუხი არ მომცემა, — ესეც უკულმისათად გადაბრუნებული და გადამახინჯებული ცილისწმებაა, — პირიქით ჩემი ახრი იყო და არის, რომ მ. ბარათაშვილს არ დავერიდები არც პოლემიკაში და არც სამედიატორო სამართლში და ის კი სულ სხვა პან-

გებზე ლაპარაკობს. ჩემი ფიქრია, რომ როგორც პოლემიკას მოერიდა მ. ბარათაშვილი, ისთვი არც სამედიატორო სამართლში უნდოდა გულით გამოსვლა, მაგრამ ეგონა თუ მე უას ვერცხლი მედიატორობაზედ და მერე თავისებურათ დაკრავდა ბუკნალარის და ხმას დაპყრიდა, რომ მე დამნაშავე გამოვდივარ მასთან. კიდევ დახედეთ მ. ბარათაშვილის დამალულ აზრებს და გულაუხდელობას, თუ კი იმან გამოამჟღავნა ის სამღვდელო პირი, ვისხედაც მე შეუთვალე, რომ მედიატორედ ნუ დანიშნავთქმ, რატომ იმ პატივცულ მოძღვარზედაც არ მიგვითითა, რომლის დანიშვნის წინააღმდეგიც ის იყო, მაგრამ ეს ხერხიც ყველასათვის გასაგები არის?!

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

28 მაის 1911 წ. დაბა ჭიათურა.



ჩასუხი გაზეთ „შინაური საქმეების“ მეცნიერების №-ში მოთვალისულ წერილზე  
ბ. Fanisi-ს.

მ. რედაქტორ!

ვისაც ოდნავ მაინც აქვს საერთოთ პიროვნების პატივისცემა და სულ მცირე იმ თვისებისა, რომელსაც კუთილშობილება ქვია, კარგად ესმის, რომ საქვეყნოდ გამოტანა მის, რაც მარტო მითქმა მოთქმის საგანს შეაღენს და ჭიათურა, მაშინ როდესაც მას ხელთ არა აქვს ფარტები, არა საკადრისია.

თუ ეს არ იცის თქვენმა თანამშრომელმა Fanisi-მა ან ის ამის განხრას ჩადის, მაკვირვებს, როგორ რედაკციამ არ იცის ის ანბანური პრესის ეტიკე, რომ უბრალო ხმებს, რომლებიც შეტება ვისიმე პიროვნებას და ამ უკანასკნელს ამცირებს, ხმებს, ჭორებს უნდა ქონდეს ადგილი გაზეთის ფურცლებზე.

<sup>1)</sup> მედიატორების განაკვეთი აქვე იმებდება.

Fanius-ი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ჩემზე ცუდი ხმები დაღის ვითომ მე ქრთამებით მივიღე ადგილი ქუთაისის სასაფლავოს მთავარანგელოზის ეკლესიაზე.

ეს რა საკადრისია ბ. Fanius? დაგვისახელეთ ის, ვინც ამტკიცებს, რომ მე ასეთ საშვალებას მივმირთე, მოიყვანეთ ერთი ფართი მანქ? არა, თქვენ ამას ვერ იქთ, ტყვილში მალე დაგიჭროთ; ამიტომა, რომ ქორიანა ქალსავრთ ბრძანებთ „ამბობენო“. მე არ ვიცი ბ. Fanius-ი თქვენი ვინაობა და ამიტომ არც შემიძლია ესთქვა თქვენზე რას „ამბობენ“, მხოლოდ ცოტა რამეს ამბობენ თვით თქვენზე მამაო რედაკტორი მერე დაუჯეროთ ყველა ამას, გამოვიტანოთ გაზეთის ფურცლებზე? აბა ეს რა საკადრისი იქნება? მაშ, რათ ჩადის ამას თქვინი თანამშრომელი Fanius-ი, რათ ჩადიხართ თქვენ ამ არა ლამაზ, შეტყი რომ არა ვსთქვათ, საქციელს? მართალია არჩევნული სისტემით ბეჭრს შეუძლია ბოროტათ ისარეგბლოს, მაგრამ ეს სისტემა არც ისთე უკანტროლო, როგორც Fanius-ს გონია. მე ერთი და ორი თვის მოვდელი არ ვარ, ჩემი ყმაწვილობიდან სასულიერო უწყებაში ვარ და ჩემი ვინაობა ირავისათვის სიიდუმლობას არ შეადგენს. ყოვლიდ სამღლელო, რომელმაც დაადასტურა ჩემი არჩევნები უმცველია ხელმძღვანელობდა არა მარტო არჩევნებით, ჩემი წარსული სამსახურით და აწყო მდგომარეობით.

მე სადც კი მიმსახურია, მხოლოდ სიყვარული და სათნეება დამრმსახურებით. ამის დამამტკიცებელი საბუთი ისაა, რომ ჩემმა მრევლმა, გაიგო, თუ არა, რომ მე გადავდინ ვარ ქუთაისში და ქუთაისის ერთმა მრევლმა უკვე ამომირჩია, მაშინვე დაამზადა თხოვნა და მღვდელმთავართან წამოვიდა, რომ ეიხოვა ჩემი მათ მრევლში დატყვება, მაგრამ ბლაკონჩინმა ლუგლიძემ დააწესენა ისინი, რომ საქმისათვის ასე სჯობდა და ისინიც დაბრუნდნენ. ბ. Fanius-ს, რომ ცოდნადა ჩემი ბოოგრიფია არ გაუკვირდებოდა ჩემი სასაფ-

ლაოს ეკლესიაზე ამორჩევა: მე მასწავლებლობა გავატარე ამ ეკლესის სამჩევლო სკოლაში, თვითარდიაკვნათაც იქვე ვმსახურობდი რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს მრევლი მე მიუნობდა, იუნობდა ჩემს ზეს, ხასიათს, მიმართულებას და აბა რა გასაკვირალია, რომ უცნობთ მე, ნაცნობი, მარჩიეს. წუ თუ ეს მატივი არ არის ამომრჩევლებთათვის? თქვენ კი ბ. Fanius, მე ისეთ ცილს მწამებულისთვის საბუთებით, რომ ეს თქვენ გცხებს ჩირქს და არა მე. თქვენ ბრძანებთ, რომ მე გავაბათილო ეს ხმები, სად გაგონილა. რომ ბრალდებულმა დაამტკიცოს, რომ ის დანაშაური არ არის, ბრალდებულს შეუძლია სულ გაჩუმდეს. მე თქვენგან ბრალდებლისაგან მოვითხოვ ბრალდების დამტკიცებას, ამიტომ ბ. Fanius-ს წინადაღებას გაძლევთ დაასახლეთ ფარტები; რომელზედაც ამყარებთ თქვენ ბრალდებას ან უკან წაილოთ თქვენი ბრალდება.

მობრძანდით, გვისაჯოთ სინდისის სასამართლოში, და თუ თქვენ პირველსაც, შეორებსაც და მესამესაც ვარს ყოფთ მაშინ მე კანონის წესით აღვიდგენ ჩემს სახელს, მოვთხოვ რა მ. რედაკტორს პასუხის გებას კანონის წინაშე, თუ ის თქვენ ვიანაობას არ გამოაქვევნება.

ქუთაისის სისაფლას მთავარანგელოზის ეპისტოლის მდგ. ოორეთოზ ნიკოლაძე.

1911 წ. ივნისის 8 რიც.



## წალმა-უკუღმა.

(გაგრძელება \*)

ერთ სალამის კოლიას ესტუმრია ქუთაი-სელი მევობარი, რამაც ის ძალიან გაახარა. მევობარისაც ძალიან იამა, რომ კოლიას მდგო-მარეობა წარმატებულად ნახა... მაგრამ უფრო კი შეეხარბა. ლიდ-ხანს ილაპარაკეს მათ ორ-თავემ ძველი და ახალი ამბები... უფრო სტუ-მარს აღძვროდა ლაპარაკის მადა და ძალიან ხალისითაც გადადიოდა ამბავიდან ამბავშე. მას შეტრის-შეტრად სწყუროდა, რომ გაევა: რამ გა-აკეთა ისე კოლია, რა მოედვა, რა სიმდიდრეს წაპკრა ფეხი! ამ აზრით მან გაბა ისეთი მუ-საიფი, საიდანაც მოხერხებულად შეეძლო, აზ-რის დაურღვევლად, გადასულიყო თავის საწა-დელ საკითხზე და ბოლოს, როგორც დაახლო-ვებული პირი, მოურიდებულად შეეყითხა კო-ლიას:

— კაცო! სიდან მოგიხვეჭია ისე მაღე ამდენი ქონება? შენ რო სოხუმიდან უარიელი გამოიქეცი რიგიანი ტანისამოსი? არ გამოგყო-ლია; ეხლა გიყურებ და ვერ გცნობილობ: აქ სახლი იქ სახლი, უჩასტკები, შეშის საწყობი, ფული, ქონება და ყველაფერი! მექვიდრობა ხო არ შეგრჩენია ვინჩესი?

— არა, მშაო! ვის დოუდგებოდა ისე თვა-ლები, რომ მე მიანდერებდა რამეს?.., ვაკრო-ბა ლატარია ყოფილა: ერთ წამს წაგიმარებს შეორუ წამს მშრალზე დაგტოვებს! ვაჭრის ქო-ნებას მალი ფეხი ასხია; როგორც შემოი-ბენს, ისე გაიჩეხეს!..—დინჯად მიუგო კოლიამ:

— მე რა უცედურობა დემებართა, ერთ მანეთოან მეორეს ვერ მოვეკი ხელი?.. თვა-ლიც დადგომია ჩემს ბედს! გურულმა რომ იცი: „აქით ვეცი, იქით ვეციო,“ — იმისი არ იყოს, ყოველგან მე დავიარები, ყოველ საქმეს და ხელობის ხელს ვკიდებ და მაინც ჩოხასთან

ახალუხი ვერ გამომიტვლია და ახალუხთან ჩოხა! ახირებული კია სწორეთ ჩემი საქმე!

— შემთხვევა ძმაო, შემთხვევა!

— რა უთხრა მაგისთანა შემთხვევები! რა-ტო ერთი ჩემთვისაც არ მოიცალა მაგოხერმა.

— გეყოფა მიხა! ნუ წყრები, თვარა თლათ შეაზინებ მაგ შემთხვევას და მერე სულ ან წაგვეკარება! — ლიმილით უთხრა ოლიამ.

— თვალიც მაგას დადგომია! რომ ვასია-მოვნო, რას მომცემს თუ იცი?

— სად ხარ მიხა ახლა? მიატოვე ი შე-ნი აღა-ალი? კაი ვაკრობა გქონდათ თქვენც; რაც აფხაზეთში სიმინდი მოციოდა, ყველა თქვენი ხელიდან გადიოდა, მაგრამ ალისაც უმტყუნა მგონია ბედმა!

— ალის დაღუპავს მისი ალახი! შეიიდო თვის ჯამაგირი შეირჩინა და საით დაიკარგა, საით არა, მისი კვალი არ ჩანს! რა უთხრა ამ ჩემს გოგრა-თავს? რა ფულებს ვატრიალებდი და რავა!...

— ჰმ! გვიანაა—გვიან.

— რომ გვიანაა მეც ვხედავ! როცა შემთხვევა მქონდა ვერ ვისარგებლე და ახლა ყურებ ჩამოყრილი დევიარები მეზურნესავით... სად ვიქნები? ხომ მხედავ, რომ აგერა ვარ; გევიგე შენი ამბავი და გამევიძეცი, იქნება მაშველოს რამე მეთქი... იცი კოლია! ახლა თუ არ წემებარე რასე და აღგიღი თუ არ მაშონე, ცუდათ მიდის ჩემი საქმე. მეგონე ძევლი ძმია და ერთი დატრიალდი შენებუ-რთ...

— ზეწყინა სწორეთ... მაგრამ არაფერი; კაცი ცოცხალი იყოს და ლუქმას ყოველთვის იშონის. ბარე ორ-სამ ადგილის მეგულება და-გილი და ისიც არ იყოს, ერთ ადგილს რავა ვერ ავაჩნ! ბანაშ იყავა აგერ, სიჭმელში არ გაგრავა რამე და სასმელში! როგორც შენს სიხლში, ისე გიისარჯე!

— გმაღლობ, გმაღლობ კოლია, შენი იმედით წამოვედო და შენც რომ ზურგი არ შეგაქცია, გმაღლობ, ეტყობა შენხე არ ით-ქმის: „თვალი თვალის მოშორდება, გულიც

\*) იხ. „შინ საქმე.“ № 14

გადასხვაფერდებათ“.

— ბეჩერ, რას მებოლიშები; არ გრცვენია! შენც ბევრი პატივი გიცია ჩემთვის და მაგიერში, გული მაქვს მეც, პატივი გცე!..

ამით ნასიამოვნებმა და იმედ მოცემულმა მიხამ შეჭრობა ლაპარაკში; ბევრი ახალი სთქვა და უფრო ბევრი ძველი ახსენა; მოაგონა სოხუმი, არ დარჩენია სოფელიც; აქით ამ მთისა დააწერილმანა, იქით იმ ბარისა და შემდეგ ნახევრათ ხუმრიბის კილოსი შეაპარა, რომ კოლიასთვის ცოლის შერთვა აწა ნააღრევი არ იყო და კიდევ ეგულებოდა მას შესანიშნავი ქალი იმის საკოლოთ.

მართალია, ცოლის შერთვის აზრი ხანდახან გაიტაცებდა კოლიას, მაგრამ ამაზე ის მაინც და მაინც დიდი არ ჰყიჯრობდა. „ჯერ კიდევ იდრეა — იტყოდა ის, — ჯერ ქონებით უნდა დაკმაყოფილდეს კაცი და ცოლ-შეილზე მერე უნდა იზრუნოს“. ცოლის ხსნებაზე, კოლიამ ერთი ჩაიღმა და ეს კითხვა მეგობრისა დასრულა უპასუხოდ.

მიხა კარგა ხანს დარჩა კოლიასთან. ადგილები, რაც კოლიას იმისთვის ეგულებოდა, დაკავებული აღმოჩნდა და ახალი ადგილის ძებნაში კი დრო და უამი გადიოდა, მაგრამ ამით არც მიხა სწუხდა და არც კოლია, რადგანაც პირველი უშრომო-უდარდელ-უხარჯოდ დროს ატარებდა მეგობართ. ნ და ყოველი-ფერში უზრუნველ ყოფილი იყო და უკანასკნელი კი, როცა საღამ-საღამბით შინ ბრუნდებოდა, თავს იქცევდა მეგობართან მუსითში, რაშიდაც ის კმაყოფილებას 33-იულობდა. ამ ხნის გამავლობაში მიხამ რამდენჯერ ჩამოუგდო ლაპარაკი კოლიას ცოლის შერთვის შესახებ და ერთ საღამოს უფრო მტკუდაც მოედნაპარაკა.

— ვინ გისუალია ჩემ საკოლეთ შენ, ასე რომ ჩიმუკებიხარ? — უთარი დაბოლოს კოლიამ მეგობარს.

— ერთი-რიმ მაწუხებს და ეს ჩამჩენია გულში კვალიად, თერთი ერთს არ გაღაპარაკებ იცოდე... მთელს ქუთისში იმის ბადალი

არავინ მოიპოვება; სულ 18—19 წლის იქნება, მასის გარდივით გაშლილი, პატიოსანი-რიგიანი... ბევრს დევიარები, მაგრამ იმისთანა ქალი შეილისთვის მე ჯერ თვალი არ მომიჯრავს; გარდა ამისა, მამის ერთა და დიდი მზითევიც იქნება: ორი-სამი სახლი ქუთისში, მამული და მოსახლობა სოფელში, უულები ბაანკში და მამამისს ხომ საკუთარი საფართლო მაღაზია იქნება და ჩინებული ვაჭართაგანია... შეაპარა მეგობარმა, როცა ამაზე კოლია შეკითხა.

— მერე თუ ასეთია ის ქალი ჩემო კარგო, რატო არ მოიტაცეს აქამდის? განა ცოტაა ქუთასში ისეთი ყმაშვილები, რომელნც ასეთს ბედს სანთლით დევებენ?

— მაგისი კი ჩა მოგახსენო! მაგი იმისთანა ქალი-შვილი არ არის რომ თავის-ნებით ვინმეს ამოეკონწიალოს; ღერენალმაც რო შეირთოს, თუ მშოალების ნება ირ ეჭნა, მაინც არ გაყობა. ვინაა ქუთასში ახლა იმისთანა საპატარლომ? ვინ არ ნატრულობს იმას, მაგრამ ვის შეუძლია ზედ თითო დააწოს? იცი, კოლია, რომ იმას სხვანერიათ ეჭიროს თავი, აწი აქამდე ხუთჯერ მეტაცებდენ, მაგრამ სარკესავით დაყავს თავი!.. ყველა — ყველაა, მარა იმისი პატიოსნება უნდა იყითხო, პატიოსნება!.. არაფერი წუნი არ ითქმის იმაზე, მაგრამ... ის თხერი, ის ერთი...

— რაღა კაცო ის ერთი? კოჭლი ხო არ არი?

აბა! კოჭლია კი არა, იტყვი რომ...

— მა რა კირს — არ იტყვი?

— გლეხთაგანია. — ფრთხილად სოჭვა მეგობარმა \*

— ვმ ეს სულ სხვა იმბავი ყოფილა! — წყენით უთხრა კოლიამ.

— ეს არის და ეს იმისი კილი, მარა ესკილად არავის მისჩნია. რამდენი თავადიშვილებიც ზედ კისერს იტებდენ იმ ქალზე მარა „წაგუბის“ ერთიც ვერ ათქმევნებს... მეც კაი აზნაური ვარ, შენ ნუ მომიჯდები, მარა სიაბლოვეს ვინ გამიკარებს? ცარიელიც რომ

იყვეს ის ქალი, მაინც მოგებაა იმისი შერთვა...  
ცხოვრებაა—ცხოვრება, იცოდე,—მოხერხებუ-  
ლად შეაპარა სიტყვა მეგობარმა.

— შენ ისე აქებ მაგ ქალს, ეტყობა კა  
ზაკუსკა უკმერება?

— შენც არ მომიკვდე! ზაკუსკა კი  
არა დაახლოვებით ვერც კი ვიცნობ... მე  
იმოდენი გაცნობა არ მაქვს იმ ოჯახის, რომ  
მაჭანკლობა დევიწყო, მარა შენ თუ დამყვე-  
ბი მაჭან კალს იმისთანას შეუჩენ, რომ სულ  
ტრაბახობით გამოტედოს იმისი ოჯახი.

— ვნახოთ;—უთხრა კოლიაშ კარგა  
ხნის სიჩუმის შემდეგ,—ქუთაისში მაინც მაქვს  
საქმე და ბარებ მასაც მევინახულებ; ვინ იცის,  
იქნება შეეწყოს საქმე!

მ ცოტად მაინც საიმედო სიტყვით, მე-  
გობარმა რაღაც სიამოვნება იგრძნო და ამით

წათამამებულმ მოუშვა ლაპარაკის კრანი. მე-  
ტად დიდებული და ღირსება-უნიკლულო ქა-  
ლის სურათი გამოაქანდაკა მან, რითაც კო-  
ლიასაც შეუცვალა წოდებრივი შეხედულება  
და უფრო ქონების შექნის სურვილით წან-  
ხმობა გამოაცხადებია.

კ. წეთისოფელე  
(შემდეგი იქნება).



რედაქტორი, მდვდელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეზავა.

## იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

განვითარების მეფუტკრეთა საზოგადოების გამოცემა

# ვ უ ც კ ა რ ი დ ა მ ე ც უ ც კ რ ი მ ბ ს .

**აკ. ჭუალაშვილის** მიერ შედგენილი, წიგნი დაჯილდოვებულია **ოქროს**  
**მენდალით.** მიღება დასაბუძათ ძხოვად სამეცნიერო სასიათოს განცხა-  
დება. წიგნის დაკვეთა და განცხადებების შეკვეთა შეიძლება კავკას. მეუკუტკ-  
სახ. თავმჯდომარის სახელშე. (ტფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. პლატონ  
მიხ. ლორთქიფანიშვილი). წიგნის ფასი ცხლეკე იქნება გამოცხადებული.

—→— ( Типографія Хеладзе въ Кутаиси. ) (←— —)